



# ბუნებითი სამართლისა და ევოლუციური სამართლის ურთიერთკავშირი: გაკვეთილი ბრუნო ლეონისგან

## კარლო ლოთიარი

### ინგლისურიდან თარგმნა ლაშა ლურსმანაშვილმა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის  
(მწერალი) თანაშემწე

 <https://orcid.org/0000-0003-4937-4022>

„თავისუფლებასა და კანონში“ ბრუნო ლეონი წარმოგვიდგენს ლიბერტარიანული სამართლის ფილოსოფიის თეორიას, მოიცავს რა „მინიმალური“ ბუნებითი სამართლისა (კერძოდ, იძულებაზე აბსოლუტურ უარის თქმას) და ევოლუციური თეორიის ელემენტებს, რომელიც მხედველობაში მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების მიდგომას იღებს. ის, საკუთარ პათოსს, ზოგიერთი ზოგადი და სამართლიანი პრინციპების (ოქროს წესი) ადვოკატირების მეშვეობით ავითარებს, თუმცა, ამავდროულად, ლეონი გასაქანს უტოვებს იურისტის სიბრძნეს, რათა ამ უკანასკნელმა საერთო სამართალი ახლებურად და მორგებულად აღასრულოს.

წინამდებარე სტატიაში ყურადღებას გავამახვილებ ფაქტზე, რომლის მიხედვითაც, ლეონი თავიდან იშორებს ნებისმიერი სახის ისტორიციზმის რადიკალურ რელატივიზმსა (*à la Hayek*) და ახალი ლეგალიზმის საშიშროებებს. ლეგალიზმში ვგულისხმობ თეორიას, რომელიც ცდილობს დაასაბუთოს, რომ ყველანაირი სამართალი გარკვეული აბსტრაქტული პრინციპებისგან იღებს სათავეს და მისგანაა წარმოშობილი (*à la Rothbard*).

ამ თეორიული წინადადების მნიშვნელობის ილუსტრირებისთვის, მოვიშველიებ „ლიბერტარიანულ კვლევათა ჟურნალში“ გამართულ ახლანდელ დისკუსიას, რომლის ფარგლებშიც, ფრენკ ვან დუნი ეპაექრებოდა უოლტერ ბლოკსა და სტეფან კინსელას. ჩემი პოზიცია დაახლოებით „მესამე პოლუსს“ ჰგავს, იქიდან გამომდინარე, რომ ვიზიარებ ფრენკ ვან დუნის მიერ გამოთქმულ ზოგიერთ კრიტიკულ მოსაზრებას როთბარდისა და მისი მიმდევრებისადმი, თუმცა, ამავდროულად, ვაგრძელებ რწმენას აბსოლუტურად სამართლიანი და უნივერსალური პრინციპების ფუნდამენტურ როლში.

## 1. ბუნებითი უფლებები და ევოლუციური სამართალი

ბრუნო ლეონის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეოცე საუკუნეში მოღვაწე კლასიკურ ლიბერალ მოაზროვნეებს შორის, რადგანაც ლეონის ძლიერი ინდივიდუალიზმი ეყრდნობა სოციოლოგიური და ევბერიანული წარმოშობის სამართლებრივ რეალიზმს. უფრო მეტიც, მისი იდეები ფესვგადგმულია ავსტრიულ ტრადიციასა და ისტორიული ევოლუციის ღია შეფასებაში. კარლ მენგერმა თავის ნაშრომში – „ძიებანი სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდებში“ პოზიტიურად შეაფასა სამართლის ისტორიული სკოლა (გუსტავ ჰუგო, ფრიდრიხ კარლ ფონ სავინი, ბერთოლდ ჯორჯ ნეიბური), რომელთა წარმოშობის კვლევამაც იგი ედმუნდ ბერკის კვალამდე მიიყვანა. მენგერის აზრით, ამ ტრადიციის ფუნდამენტური გამოძახილი არის შემდეგი: „სამართალი, მსგავსად ენისა, ზოგადად, არ არის (სულ ცოტა წარმოშობის ჩრილში) საჯარო ხელისუფლების აქტივობის პროდუქტი, რომელიც სამართლის ქმნას ისახავდა მიზნად, იგი კონკრეტულად არც პოზიტიური კანონმდებლობის პირმოა. ნაცვლად ამისა, იგი უმაღლესი სიბრძნის განუზრახველი შედე-

გია, ერების ისტორიული განვითარების მონაპოვარი.<sup>1</sup> ამდენად, იგი მიუთითებს ევოლუციური სამართლის ინდივიდუალურ შინაარსზე, რათა დაეხმაროს კლასიკურ ლიბერალურ თეორიას დავინყებულის ფესვების ხელახალ აღმოჩენაში.

ამ კუთხით, ლეონის სიმპათია საერთო სამართლისადმი, არაა სპონტანური წესრიგის *per se* ცნების ან ტრადიციის დაცვა. ამ უკანასკნელის პრეფერენცია კავშირშია პოლიცენტრულ და ევოლუციურ წესრიგთან, რომელიც ინდივიდუალური უფლებების დაცვაზე უკეთესადაა მორგებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთო სამართლის წესები მხოლოდ ინსტრუმენტებია, რომელთა გამოყენება შესაძლებელია საზოგადოების წევრების მმართველთაგან დასაცავად.

როგორც ინგლისური სამართლის ისტორიის მკვლევარი, ლეონი დაინტერესებულია ანტიკური საერთო ბუნებითი სამართლის განახლებული შეფასებით, რომელიც ედუარდ ქუქის მიდგომის საფუძველში ძევს. ფაქტობრივად, ქუქის შეხედულებით, საერთო სამართალი არ ატარებს ანტირაციონალისტურ განწყობას, მაგრამ საპირისპიროდ, იგი განამრტავს *rationale*-ს (მიზანშეწონილობას), რომელიც ევოლუციიდან გამომდინარეობს. ეს პერსპექტივა ბევრი ინდივიდის ფუნდამენტური წვლილის შეტანითაა გამდიდრებული-ხორცშესხმული (პრაქტიკული, პრაგმატული, პროფესიული ღვაწლი). ქუქის მიხედვით, საერთო სამართალი გამომდინარეობს წინაპირობიდან, რომელიც მიზნად ისახავს მისი ბუნებითი კონტექსტის გაუმჯობესებას, ეს უკანასკნელი კი, ადამიანის ინტელექტისთვისა და გამოცდილებისთვის, რთულ ვითარებაში ყოფნის დროს დახმარების ერთგვარი წყაროა.

<sup>1</sup> Carl Menger, *Investigations into the Method of the Social Sciences*, translation by Francis J. Nock, (New York, New York University Press, 1985), pp. 174-5.

ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ისტორიული რელატივიზმისა და აბსტრაქტული დოგმატიზმის თავიდან არიდება.

სიცოცხლის ბოლო წლებში, ლეონი უფრო მეტი ღიაობით გამოირჩეოდა ბუნებითი სამართლისადმი, რომლის ფარგლებშიც მან გამოიკვლია სოციოლოგიურ ანალიზსა და ეთიკას შორის არსებული სხვადასხვა ურთიერთობა. აშკარაა, რომ ეს ევოლუცია შერწყმულია ცნობიერებასთან, რომლის თანახმადაც, ბუნებითი სამართლის ტრადიციის უკიდურესმა ნგრევამ განაპირობა და ნახალისა ინდივიდუალური თავისუფლების შეკვეცა. თანამედროვე სამართლის სისტემებზე წერისას, იგი აღნიშნავს, რომ „ყველა თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაში, რომლის არსებობაც ინდივიდუალური, თავისუფალი არჩევანის შენარჩუნებისთვისაა აუცილებელი, გვხვდება გაცილებით მეტი კანონმდებლობა, გაცილებით მეტი კოლექტიური გადანყვეტილება, გაცილებით მეტი უხეში არჩევანი და ამავედროულად „ცოცხალ მაგიდებზე ქმნილი გაცილებით ნაკლები სამართალი“, გაცილებით ნაკლები ინდივიდუალური გადანყვეტილება და გაცილებით ნაკლები თავისუფალი არჩევანი.“<sup>2</sup>

როდესაც ლეონი ციტირებს ფრენსის ბეკონსა და მის იდეას ცოცხალი სამართლის შესახებ,<sup>3</sup> იგი ფიქრობს სამართლებრივ წესრიგზე, რომელიც ფართოდ მხოლოდ მორალსა და ჩვეულებებთან კი არაა კავშირში, არამედ, აგრეთვე, თვითნებობის ამკრძალავ წესებსაც უკავშირდება. ლეონისეული სამართლის განსაზღვრება მომდინარეობს ისტორიული ევოლუციისა და სოციალური შეთანხმებებისგან, რომელთაც ადამიანის ბუნებაში ღრმად ფესვგადგმული წესების არსებობა ესაჭიროებათ. ამავედროულად, იგი, თავისი თეორიული ანალი-

<sup>2</sup> Bruno Leoni, *Freedom and the Law*, გვ. 131

<sup>3</sup> იხ. აგრეთვე, Bruno Leoni, *Lezioni di dottrina dello Stato* (Soveria Mannelli: Rubbettino, 2004 [1959]), p. 25.

ზის ფოკუსირებას ყოველთვის ადამიანის თავისუფლებაზე ახდენს. ამრიგად, დეონტოლოგიური ბუნებითი სამართლის ირიბი მიდგომა, ნათელია, რომ მისი თეორიის აშკარა შედეგია (მიუხედავად ვებერლიანული *Wertfreiheit*-ის\* როლისა). შემდეგ, პირდაპირი ბუნებითი სამართლის პერსპექტივის უარყოფის მიუხედავად, ლეონი მოექცა მიზნის რაციონალიზმისა და გამოკვეთილი ლიბერტარიანული მოსაზრებების ზეგავლენის ქვეშ, რომლებიც ბუნებითი უფლებების აუცილებლობის წონადი არგუმენტებით დასაბუთების ფრთხილი შეფასების არტიკულაციას ახდენენ. მაშინ, როდესაც ლეონიმ განჭვრიტა, სამართლის მეცნიერების რაციონალური გაგების დაცვის საჭიროება, იგი სამართლის საყოველთაო ჭეშმარიტების არსებობის გაცხადებით მივიდა დასკვნამდე, რომელიც კანონმდებლობათა პრიმიტიულ რეალობებს ტრანსცენდენტირებს. უფრო მეტიც, ლეონი აღიარებს, რომ ინდივიდუალური თავისუფლება ყოველთვის უფრო მეტად იყო შენარჩუნებული ამერიკულ კონტექსტში: ბუნებითი სამართლის ძლიერმა ტრადიციამ შეინარჩუნა და დაიცვა ხალხთა უფლებები.

როგორც ვახსენე, ლეონს ღიად არასდროს გამოუხატავს სიმპათია ბუნებითი სამართლის გავრცელებული ვერსიისადმი, მაგრამ, ნაშრომის – „თავისუფლებისა და კანონის“ – შემდეგ, მან საერთო სამართლის ადაპტირებადობისა და მორალური თეორიის სამართლიანი პრინციპების სიმკაცრის ურთიერთშეკავშირებითი გამოკვლევის მეთოდის გამოყენების შესაძლებლობის მეშვეობით, ბუნებითი სამართლისა და სამართლებრივი რეალიზმის შერიგება სცადა.

ამ ძველმოდური მიდგომით, ლეონიმ აღაშფოთა ევროპელი კოლეგები (ძირითადად კელზენისეული ნორმატივიზმის ტყვეები), განსაკუთრებით კი იმის მიჩნევის გამო, რომ ხშირად „ექსტრემალური“ ხასიათის რადიკალურ ინდივიდუალიზმს სხვა კულტურებთან და გრძნობებთან ჰქონდა კავშირი.

## 2. ლიბერტარიანული რეალიზმი და პოლიცენტრული წესრიგი

ლეონის უდროო სიკვდილიდან ათწლეულების გასვლის შემდეგაც, მისი შრომები ჯერ კიდევ ღირებულია თანამედროვე დისკუსიებსა და დებატებში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ამ უკანასკნელმა გააღო კლასიკური ლიბერალური ჰორიზონტის კარიბჭე, რომელმაც მხოლოდ ახლახანს მოიპოვა აღიარება, რომ ეკუთვნის ფილოსოფიურ და სამართლებრივ დისკურსს. ამ კუთხით, ძალიან ბევრი თანამედროვე ლიბერტარიანელი ავტორის მოხსენიებაა შესაძლებელი – ბრიუს ლ. ბენსონის,<sup>4</sup> რობერტ ელიქსონის<sup>5</sup> და რენდი ი. ბარნეტის<sup>6</sup> სახელები მკაფიოდ მიტივტივდება გონებაში – რომლებმაც შემდგომ განავითარეს იტალიელი მეცნიერის იდეის შორსმჭვრეტელური მიზნები. რა თქმა უნდა, მთლად შემთხვევითი როდია ამ ავტორთა ნაშრომების დასკვნებს შორის არსებული გასაოცარი მსგავსება იტალიელი მოაზროვნის შრომებთან.

დაუგეგმავი სოციალური წესრიგის ტექნიკურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, საინტერესოა დავიმახსოვროთ, რომ როდესაც ბრუნო ლეონის ჰკითხეს, თუ ვინ უნდა არჩეულიყო მოსამართლედ ლიბერტარიანულ საზოგადოებაში, ლეონიმ უპასუხა: „წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ ვინ უნდა დაინიშნოს მოსამართლედ, ამ ეტაპზე უსაგნოა, ნებისმიერ შემთხვევაში, ყველას შეუძლია მოსამართლის ფუნქციების განხორციელება, ისევე, როგორც ეს ხდება იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც ინდივიდები თავინათი კერძო კონფლიქტების გადაჭრის მიზნით კერძო არბიტრებს მიმართავენ“<sup>7</sup>.

<sup>4</sup> Bruce L. Benson, *The Enterprise of Law. Justice without the State* (San Francisco: Pacific Research Institute for Public Policy, 1990).

<sup>5</sup> Robert C. Ellickson, *Order Without Law: How Neighbors Settle Disputes* (Cambridge Mass.: Harvard University Press, 1991).

<sup>6</sup> Randy E. Barnett, *The Structure of Liberty. Justice and the Rule of Law* (Cambridge Mass.: Oxford University Press, 1998).

<sup>7</sup> Bruno Leoni, *Freedom and the Law*, p.129.

ზემოხსენებულის შესაბამისად, მასში ნაგულისხმევია, რომ სასამართლოს დღევანდელი სისტემა და მოწყობა უნდა გაქრეს, რათა შეიქმნას კონკურენცია სასამართლოებსა და აღსრულების სააგენტოებს შორის. ლეონი ავითარებს კერძო სასამართლოებზე დაფუძნებული სასამართლო სისტემის ახლებურ მოდელს, რათა განაცალკევოს და უზრუნველყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებული სახელმწიფო წესრიგისგან.

ამ საკითხის ირგვლივ, ლეონისა და როთბარდის იდეაფიქსების შერწყმა აშკარაა უამრავ დონეზე. ორივე მოაზროვნე მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების საკითხებზე სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმების იდეას ემხრობა, მიზნად ისახავდნენ რა სააგენტოებს შორის ინსტიტუციური შეჯიბრის გზისთვის მწვანე შუქის ანთებას, რომლებსაც უნდა დაჰკისრებოდათ კრიმინალური მოქმედებებისთვის ძირის გამოთხრის ვალდებულება.

პოლიცენტრული წესრიგის განსაზღვრება – რომელიც მაიკლ პოლანისგან მომდინარეობს – შესაძლებელია სასარგებლო აღმოჩნდეს, რათა განხორციელდეს შეკავებისა და განონასწორების შემცველი სისტემისა და ყოვლისმომცველი ხელისუფლების მიერ დადგენილი დანერგილი კონსტიტუციის გარეშე ოპერირების სიზუსტისა და კომპლექსურობის შეფასება. პოლანი მიიჩნევს, რომ ძალები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ან გზა გაუხსნეს საბაზრო წესრიგის „უხილავი ხელის“ მოქმედებას, არც იმდენად განსხვავდება იმ ძალთაგან, რომელთაც გამოძერწეს ევოლუციური სამართალი და მეცნიერული კვლევა. მისი აზრით, სამეცნიერო პროგრესი ეფუძნება დოგმატს, რომლის თანახმადაც, „მეცნიერების წიაღში მყოფი ყოველი შემოთავაზებული ჰიპოთეზა ექვემდებარება გამოკვლევის, შემოწმებისა და გულდასმით განხილვის რეგულარულ პროცესს“. მსგავსად, ჩვენ ვპოულობთ ანალოგიურ ლოგიკას სამართალში, რადგან საერთო სამართალი „გვევლინება რა შესწორე-

ბათა თანმიმდევრობად მოსამართლეთა ყოველ შემდგომ ნაკადებს შორის, რომელიც წარმართება მოსამართლეებსა და საზოგადოებას შორის მიმდინარე პარალელური ინტერაქციის მეშვეობით<sup>8</sup>.

როთბარდისა და ლეონის იდეური შერწყმის ანალოზი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მათ მიერ სახელმწიფო წესრიგის (ძალადობის მონოპოლია) კრიტიკის განხილვისათვის, არამედ, მათი კონკურენციის პარადიგმის ღირებული თეორიებიდან გადასვლით მარტივად შევძლებთ ლიბერტარიანული საზოგადოების ლოგიკის ჭვრეტას, რომელიც მხოლოდ მოხალისეობრივ ინსტიტუტებს ეფუძნება.

შემდგომ, სანქციისა და ინტერვენციის (ინდივიდუალური პრეტენზია, როგორც „ინტერვენციის უფლებამოსილება“) კავშირის გამოკვლევა მნიშვნელოვანია ლეონის პოლიტიკური და სამართლებრივი რეალიზმის თავისებური ხარისხის განსაზღვრისათვის. ფაქტობრივად, იგი ბუნებითი სახელმწიფოს დოქტრინის ხელახლა შეფასებისთვის იყენებს სპონტანური წესრიგის მოდელს – საზოგადოება ძალადობის მონოპოლიის გარეშე – როგორც თავისუფალ ინსტიტუტებზე დაფუძნებული ლიბერტარიანული წესრიგის წინასწარი პირობა.

### 3. "VERBUM CARO FACTUM EST"

ამ მიზეზით, როთბარდსა და ლეონს შორის განსხვავება არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. უნდა ვაღიაროთ, რომ როთბარდის მიერ ლეონის წინააღმდეგ გალაშქრების („თავისუფლებისა და კანონის“ როთბარდისეულ განხილვაში) და ასევე, ლეონის ზოგიერთ შრომაში არსებული უამრავი შეუსაბამობის მიუხედავად, ძალიან ბევრ კონტექსტში, როთბარდი შესაძლებელია „ლეონის მიმდევრადაც“ კი განვიხილოთ.

<sup>8</sup> Michael Polanyi, *The Logic of Liberty* (Chicago: University of Chicago Press, 1980 [1951]), p.163 and p.162.

მაგალითად, როდესაც როთბარდი საუბრობს სასამართლოებსა და დაცვის სააგენტოებზე, იგი ციტირებს ლეონსა და მის იდეას ევოლუციური სამართლის შესახებ.

სამწუხაროდ, ბუნებითი სამართლის *a priori*\* პრინციპებსა და სამართლებრივი გამოცდილების ფართოდ ინდუქციურ ცოდნას შორის მედიაციის განხორციელების აუცილებლობის შესახებ ცნობიერება ყოველთვის როდი მოიძებნება როთბარდისა და მისი მიმდევრების შრომებში. მაგრამ, აი, სწორედ ამიტომ, ლეონის ინტელექტუალური მემკვიდრეობა შესაძლებელია სასარგებლოც კი იყოს ლიბერტარიანული სამართლის თეორიის განვითარების მცდელობაში, რომელიც მიზნად ისახავს ინდივიდის ღირსებისა და თავისუფლების დაცვას. ლეონისთვის პრეტენზია მხოლოდ მაშინ არის „კანონიერი“, თუ არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ეს უკანასკნელი იქნება განვითარებული, ხოლო შესაბამისი პირობები – დაკმაყოფილებული, თუმცა ამგვარი ცოდნა მხოლოდ გამოცდილებით ყალიბდება. ამ კონტექსტში, აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვათ „კლასიკური“ ბუნებითი სამართლისა და თანამედროვე სამართლებრივი რეალიზმის ერთმანეთთან შერწყმის იდეას, რომელიც ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია ლეონის შრომებსა თუ კვლევებში. ფაქტობრივად, ლეონი დარწმუნებული იყო, რომ არსებობდა დიდძალი გამოცდილება, რომელიც ცოდნის ფორმალურ ჩარჩოში რთულად თავსდება. თუმცა, ეს ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია კაცობრიობისა და სამყაროს აღქმისთვის. თუ როთბარდში გვხვდება „სამართლებრივი რაციონალიზმის“ (და ფაქტი, რომ სამართალი ერთდროულად „თეორიაც“ არის და „ისტორიაც“) განსაკუთრებული როლის უგულებელყოფის რისკი, ლეონი, ადამიანის გამოცდილებისა და ამ გამოცდილების როლის სწორ პერსპექტივაში მოთავსების საკითხის ირგვლივ, რასაც ეს უკანასკნელი თამაშობს ჩვენი არსებობის პრაქტიკული არსის წვდომაში, იზიარებს და ითვისებს მიზეზისეულ მიდგომას.

ლეონის შრომების ანალიზისას, ჩვენ აღვიქვამთ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას, რომლითაც დასავლური ცივილიზაცია ხასიათდება: დაძაბულობა სულიერსა და სეკულარულს შორის, პრინციპებსა და შედეგებს შორის, აბსტრაქტულსა და პრაქტიკულს შორის, ტრანსცენდენტულსა და მონდეურს შორის. ეს პარადგიმული დუალიზმი გადაჭრილია სახარებისეული კონტექსტისამებრ, იმის გაანალიზების საჭიროებაზე მითითებით, რომ სიტყვა ხორცად იქცა – ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ბუნებითი სამართალი მხოლოდ მაშინ ახდენს სოციუმზე გავლენას, როდესაც იგი თავად ისტორიას ერწყმის და სოციალური თანამშრომლობის ყველა მონაწილისა თუ წევრის წვლილით მდიდრდება. ბუნებითი სამართალი მხოლოდ მაშინაა ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი, თუ მას შეუძლია სოციუმის წევრებთან ურთიერთკავშირი და „კარგი წესების“ ძიების საქმეში წვლილის შეტანა, რომელსაც კონკრეტულ დროსა და ადგილას შეუძლია ინდივიდებს შორის თანამშრომლობის წახალისება.

ინკარნაციის იდეა, რომელიც ესეოდენ მნიშვნელოვანია ევროპულ კულტურასა და საზოგადოებაში, გამოიხატება იმის დადგენით, თუ რა არის „სამართლიანი“ თავისი ბუნებითა და არსით ამ პრიზმაში, რომელიც ფესვგადგმულია რა დროის კონკრეტულ მონაკვეთში, შესისხლბორცებულია სპეციფიკურ ინსტიტუტებში და შემჩნევადია ძალიან ბევრ სხვადასხვა ვითარებაში.

ლეონი უთითებს კონკრეტული აბსტრაქტული პრინციპების არსებობაზე სამართლებრივ უთანხმოებათა დროს და შედეგად, იგი აყალიბებს ლიბერტარიანული თეორიის მოდელს, რომელიც როთბარდის თეორიის ნაწილობრივ ალტერნატივას მოგვავაგონებს. თუმცა, ლეონის მოძღვრებანი კვლავ აგრძელებენ ბუნებითი სამართლის პრინციპებზე დაყრდნობას. აშკარა განსხვავებების მიუხედავად, ლეონის მოდელის ოქროს წესი თამაშობს სწორედ იმ როლს, რა როლსაც აგრესიის აკრძალვის დოქტრინა ასრულებს როთბა-

რდის შრომებში. მთავარი სხვაობაა ის, რომ ლეონის შრომებში არ გვხვდება თავის მოკატუნების რაიმე მცდელობა, რომელიმე კონკრეტული განსაზღვრული ბუნებისა და ხასიათის სისტემის გამოკვეთის თაობაზე.

ლეონი არ ფიქრობს „ლიბერტარიანულ კოდექსზე“, როტბარდის მიერ შთაგონებული მოდელისაგან განსხვავებით, რომელიც ჩაფიქრებულია და გარკვეულწილად წააგავს კიდეც თვითკმარობისა და სრულყოფილების პრეტენზიით გაჟღენთილ სახელმწიფო სამართლის სისტემების მოდელს. საპირისპიროდ, „თავისუფლება და კანონი“ ლიბერტარიანული ბუნებითი სამართლის მეტად კლასიკური ჭვრეტის საწყის წერტილადაც შესაძლებელია იყოს მიჩნეული, რომელიც ძირითადად, არისტოტელეანურ-თომისტურ ტრადიციებშია ფესვგადგმული.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლეონის შრომებში სამართლებრივი კვლევისა და ისტორიული ევოლუციისთვის მანევრირების ფართო სივრცე გვხვდება, იქიდან გამომდინარე, რომ ლეონს მტკიცედ სწამს „ცოცხალი სამართლის იდეის“, რომელიც რეალობასთან მუდმივ და ახლო ინტერაქციაში იმყოფება. სამართლებრივ წესრიგს აქვს ზოგიერთი „მნიშვნელოვანი“ ელემენტი, თუმცა იგი იცვლება სინქრონულად, დროსთან ერთად და ამ მიზეზით, საჭიროებს მუდმივ და გამოწვევებით აღსავსე უამრავი ძალისხმევის გაწევას წესების, ქმედებებისა და საქციელის სრულყოფისთვის.

ამ კუთხით, სასარგებლოა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური პრეტენზიის თეორიის სრულყოფის მცდელობისას, ლეონი წარმოგვიდგენს საინტერესო კონცეფციას, როდესაც იგი საუბრობს ე.წ. *a-legal* სარჩელზე (იტალიურად, *pretese agiuridiche*), რომლის მიხედვითაც, ჩვენ გაგვაჩნია არა მხოლოდ კანონიერი და უკანონო პრეტენზიები, არამედ ზოგიერთი ისეთი პრეტენზია, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ თავიდან სრულად სრულყოფილად არ არის

გააზრებული და მიღებული, მაგრამ მომავალში, შესაძლოა, სრულიად კანონიერადაც კი მოგვევლინოს.<sup>9</sup>

ლეონი უაღრესად კარგად იცნობდა უდიდესი ავსტრიელი ეკონომისტების ძირითად და ფუძემდებლურ შეხედულებებს და ამავდროულად, მხოლოდ ლეონიმ შეძლო ამ ტრადიციაში ღრმად ფესვგადგმული სამართლის თეორიის განვითარება. მის თეორიაში იურიდიული პროფესიის არგუმენტები და ლიბერტარიანული პოლიტიკური ფილოსოფიისთვის მუხტის მიმცემი, აბსტრაქტული და ზოგადი პრინციპები, მართლაც რომ ბედნიერ ქორწინებაში იმყოფებიან.

ლეონის ანალიზისას, შეგვიძლია ვისაუბროთ სინკრეტიკული სამართლის ფილოსოფიაზე. თუმცა ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ლეონის მიერ სამართლებრივი წესრიგის ეთიკური განზომილების მნიშვნელობაზე აპელირება მჭიდრო კავშირშია ლიბერტარიანიზმის ისევ და ისევ ლეონისეულ მოდელთან.

#### 4. ლეგალიზმის წინააღმდეგ, რელატივიზმის წინააღმდეგ

ლეონის ძალისხმევა, ხაზი გაუსვას სამართლის რაციონალურ ხასიათს, საჭიროებს მის მიზანთან ურთიერთკავშირში გაანალიზებას. მას სურს განავითაროს სამართლის თეორია, რომელიც ამ სფეროსთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მოთხოვნებისთვის პასუხის გაცემას შეძლებს. ორიგინალობის გამო, ლეონის თეორია შესაძლებელია, ასევე, დაგვეხმაროს ზოგიერთი თანამედროვე ლიბერტარიანული დებატის ახლებურ განმარტებაში.

ახლახანს, „ლიბერტარიანულ სწავლებათა ჟურნალმა“ დააანონსა ფართო განხილვა ადამიანის ქმედების ბუნების თაობაზე, განსაკუთრებით კი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან

<sup>9</sup> Bruno Leoni, *Appunti di filosofia del diritto* (1966), in *Il diritto come pretesa* (Macerata: Liberilibri, 2004), p. 200.

დაკავშირებულ საკითხთა ირგვლივ (არის თუ არა იგი ყოველთვის კანონიერი?), ასევე, საკითხი შეეხებოდა იმას, თუ რა მიდგომა უნდა ჰქონოდა ლიბერტარიანულ სამართლებრივ წესრიგს ინდივიდუალურ გამოხატვასთან.<sup>10</sup> ამ საკითხის განხილვის გარდა, აღნიშნული დისკუსია ერთმანეთს უპირისპირებს როთბარდიანელ თეორეტიკოსებს, მაგალითად, უოლტერ ბლოკს, რომელიც მოქმედებას „აგრესიულს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში უწოდებს, თუ იგი მოიცავს დაუყოვნებლივ ფიზიკურ ანგარიშსწორებას. ასევე, დისკუსიაში მონაწილეობდა ისეთი მეცნიერი, როგორიცაა, მაგალითად, ფრენკ ვან დუნი, რომელიც უარყოფს ამ შეზღუდვას და გვთავაზობს სამართლებრივი ტრადიციით დაგროვებული სიბრძნით გამყარებულ ლიბერტარიანულ თეორიას.

ეს განხილვა განსაკუთრებით სასარგებლოდ მეჩვენება, რომ ჩვენზე ლეონის მოძღვრების ზოგიერთ მნიშვნელოვან ელემენტს და ასევე, ავხსნა მის მოძღვრებასთან დაკავშირებული ზოგიერთი აშკარა გაუგებრობა ლეონის მიერვე არტიკულირებულ იმ იდეათა ირგვლივ, რომლებიც ჯერ კიდევ აგრძელებენ ფიგურირებას მის მოძღვრებათა გარშემო.

ფაქტიურად, „თავისუფლება და კანონში“ ოქროს წესის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იტალიელი მეცნიერისთვის თომისტური ტრადიციისეული სიკეთის ქმნისა და ბოროტების უგულვებელყოფის (*bonum faciendum malumque vitandum*) იდეა ჩანაცვლებულია ნებისმიერი სახის აგრესიის უარყოფის ეთიკური პრინციპით. თუ როთბარდის შრომებში ვპოულობთ თანამედროვე ბუნებითი სამართლის ლიბერტარიანულ ვერსიას, მისგან საპირისპიროდ, ლეონის შრომებში სასარგებლო პერსპექტივა იმ ინდივიდუალთა გვესახება, რომლებიც ლიბერტარიანული მახასიათებლების მქონე კლასიკური

<sup>10</sup> დისკუსიის მნიშვნელოვანი ნაწილი ორ საკითხს ეთმობოდა, იხ., *The Journal of Libertarian Studies* (volume 17, n.3, Summer 2003; and volume 18, n.2, Spring 2004).

ბუნებითი სამართლისკენ იხრებიან. (კერძოდ, ლოგიკურ დასკვნებზე მეტად, მოვლენათა ევოლუციურ განვითარებას ეყრდნობა).

ფაქტობრივად, თუ სამართლის ევოლუციური თეორიის ამოსავალი გარკვეული მყარი პრინციპების ქონაა, ლიბერტარიანულ თეორიას არ ძალუძს ბუნებითი სამართლის განმანათლებლებისეული ლოგიკის სიმულირება, რამაც თავის მხრივ სამართლის კოდიფიცირება განაპირობა.

მაშინ, როდესაც როთბარდმა და მისმა მიმდევრებმა მკაფიო მიჯნა გაავლეს სიტყვის თქმასა და ფიზიკურ აგრესიას შორის (როგორც სიტყვის თავისუფლებასა და კრიმინალურ საქციელს შორის), ისინი აშკარად განამტკიცებდნენ ინდივიდის მიერ საკუთრებაზე გაცხადებულ მორალურ უფლებას, უფრო კონკრეტულად კი, მიზნად ისახავდნენ სიტყვის თავისუფლების დაცვას უამრავი ანტილიბერალური არგუმენტისგან ე.წ. მენტალური აგრესიის შესახებ.

ამავდროულად, შინაარსობრივი კონტექსტის მხედველობაში მიღების გარეშე, ხსენებული პრინციპით არგუმენტირებამ და მათმა განვრცობამ შესაძლებელია ძალიან ბევრ აბსურდულ შედეგამდე მიგვიყვანოს. ყველაზე მკაფიო და თვალსაჩინო მაგალითი უოლტერ ბლოკის მიერ წარმოდგენილი შემთხვევაა, რაც ადამიანის მიერ ხალხით სავსე თეატრში „ხანძარიას“ შეძახილის უფლების დაცვას გულისხმობს, რომელსაც თან განჭვრეტადი, გარდაუვალი და ტრაგიკული შედეგები სდევს. ამგვარი ტიპის ვითარებათა ანალიზისას, ნათლად ჩანს, რომ წინამდებარე თეორია ვერ დაიკვეხნის, თითქოსდა გვთავაზობდეს წესების სრულყოფილ ჩამონათვალს, კერძოდ, კანონმდებლობის შედარებით უფრო ვიწრო ფარგლებში, წარმოგვიდგინოს კოდიფიცირებულ წესთა ერთობლიობა, რომელსაც საუკეთესო შემთხვევაში კონკრეტული მოქმედების სამართლიანობის ერთხელ და სამუდამოდ განჭვრეტა და განმარტება შეეძლება.

თეორიასა და ისტორიას შორის სხვაობა, რომელიც სოციალურ მეცნიერებათა ავსტრიული ანალიზის ყურადღების ცენტრში იმყოფება, აქ მოჩვენებითი შესახედაობებით ბრუნდება. ამ შემთხვევაში, განსახილველი საკითხი არ ეხება ზოგადი და აბსტრაქტული ნესების ცნებათა განსაზღვრას და მეორე მხრივ, ისტორიული მონაცემებისა თუ ინფორმაციის დაგროვებას. ლეონის მოსაზრებით, სამართლებრივი ნესრიგის შესწავლისას, უნდა მოვეჭიდოთ ზოგიერთ თეორიულ ელემენტს (როგორც, ინდივიდუალური პრეტენზიის შესახებ მისეულ მოსაზრებაშია წარმოდგენილი), მაგრამ, ამავედროულად, ჩვენ უნდა შევიმეცნოთ, რომ სამართალი მნიშვნელოვანწილად პრაქტიკული აქტივობაა და ამ მიზეზით კი, იგი ისტორიულადაა განპირობებული.

ამდენად, თუ ჩვენი მიზანი აგრესიულ და არააგრესიულ აქტებს შორის სხვაობის დადგენაა, ამის მიღწევა მხოლოდ სპეციფიკური კონტექსტის მხედველობაში მიღებითაა შესაძლებელი. სამართალსა და სიტყვის თავისუფლებას შორის ურთიერთობის შემთხვევაში, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მთხრობელის ინიციატივა აშკარად ადამიანის ქმედებაა (სიტყვის თავისუფლების აქტი) და ამ მიზეზის გამო, ამას შეიძლება ჰქონდეს – როგორც ყველა სხვა აქტს – „ინვაზიური (ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა)“ ასპექტი. ეს უდავოდაა ჭეშმარიტი და არა მხოლოდ მაფიის ბოსის შემთხვევაში, რომელიც საკუთარ მინიონებს სხვა ადამიანთა წინააღმდეგ აგრესიული აქტის განხორციელებას უბრძანებს, როგორც ეს როთბარდისეულ მაგალითში გამოიკვეთებოდა.

უოლტერ ბლოკი აანალიზებს მენტალური აგრესიის საკითხს და უარყოფს მის არსებობას (თუნდაც, ე.წ. შანტაჟისტისა [ე.წ. **black-mailer**] და ხალხით გადაჭედილ თეატრში „ხანძრის“ შეძახილის განმხორციელებელი პირის შემთხვევაში). თუმცა იგი დანაშაულად აცხადებს მუქარის ან თაღლითობის ფორმით განხორციელებულ

სიტყვის თავისუფლების ყველა აქტს, ვინაიდან ამგვარი საქციელი აუცილებლად ფიზიკურ აგრესიას მოიცავს. ამდენად, ლეგიტიმური უფლება გვაქვს, დავუსვათ შეკითხვა ბატონ ბლოკს: შეგვიძლია თუ არა ჭეშმარიტად უარყოფით ამგვარი ქმედების ინვაზიური ხასიათი, რომლის ფარგლებშიც ადამიანები ცრუ ინფორმაციის საშუალებების გამოყენების მეშვეობით თეატრის დარბაზში ტერორის შემცველ მესიჯებს ავრცელებენ და შედეგად ძალიან ბევრი ადამიანის სიკვდილზე პასუხისმგებელ პირებად გვევლინებიან. ამ ინდივიდმა ძალიან კარგად იცის, რომ მისი შეძახილი ხალხში დაახლოებით იმგვარ რეაქციას წარმოშობს, რომელიც თეატრის დარბაზის უსაფრთხოებას სერიოზული რისკების წინაშე დააყენებს.

ბლოკის მიხედვით, როდესაც მივუთითებთ მუქარასა და თაღლითობაზე, ვხვდებით „ფიზიკურ ინვაზიას, მაშინაც კი, როდესაც საქმე უბრალოდ სიტყვის თავისუფლების აქტთან გვაქვს.“<sup>11</sup> ის ფაქტი, რომ ინვაზია არაა გამოხატული და მხოლოდ მაღალი ალბათობის მქონეა, ვითარებას არ ცვლის. უკანონოა არა მხოლოდ ჩვენი მეზობლების წინააღმდეგ აგრესიის აქტის განხორციელება, ასევე, მათი სერიოზული რისკების წინაშე დაყენებაც.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ შემთხვევა, რომლის ფარგლებშიც ინდივიდი ცრუ ინფორმაციას აწვდის ორ ადამიანს, რომელთაც სურთ ხიდის გადაკვეთა, ხოლო ეს ხიდი მათ გადასვლას ვერ გაუძლებს. თუ იგი ფლობს ინფორმაციას ხიდის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არ არწმუნებს მოგზაურებს, თავი შეიკავონ მისი გადაკვეთისგან, მასზე შეიძლება ითქვას, რომ მან ეს ადამიანები განზრახ სასიკვდილოდ გაუშვა.<sup>12</sup> ჭეშმარიტია მსჯელობა,

<sup>11</sup> Walter Block, "Reply to 'Against Libertarian Legalism' by Frank van Dun," *The Journal of Libertarian Studies*, 18, n.2, Spring 2004, p. 6.

<sup>12</sup> Frank van Dun, "Natural Law and the Jurisprudence of Freedom," *The Journal of Libertarian Studies*, 18, n.2, Spring 2004, p. 33.

რომ არ შეიძლება გვაიძულონ სიკეთის ქმნა და არ შეიძლება დავისაჯოთ ამ მორალური იმპერატივის შესრულებაზე უარის თქმის გამო; თუმცა, ამავდროულად, ყველა იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ მოქმედებებზე. ვერავინ მაიძულებს ვინმესათვის ვაშლის ნამცხვრის ჩუქებას, მაგრამ თუ ვინმეს მონამულ შოკოლადს მივცემ, მე თავიდან ვერ ავიცილებ ჩემი ქმედების თანმდევ შესაბამის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ნებისმიერი ადამიანის სიტყვის თავისუფლების აქტი, რომელიც განზრახ შედის კაუზალური მიზეშედევგობრიობის ჯაჭვში მყოფ ამგვარ გადამწყვეტ ფაზაში, არ შეიძლება იქნეს უგულებელყოფილი. როგორც ნებისმიერი სხვა აქტი, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამართლებრივ შედეგებს მათთვის, ვინც მას სჩადის.

კაუზალური მიზეშედევგობრიობის ჯაჭვის თაობაზე როთბარდისა და ბლოკის მოსაზრებები მთლად ახალიც არ არის; მათ სწამთ, რომ კაუზალური ჯაჭვის მხოლოდ ბოლო მაკავშირებელი სუბიექტი უნდა ჩაითვალოს შედეგზე პასუხისმგებელ პირად. თუმცა, ამგვარად ფიქრისას ჩვენ უგულებელვყოფთ რეალური ვითარებების კომპლექსურობას: როგორც ისინი ვარაუდობენ, პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვრებოდეს მხოლოდ 100 %-ით ან 0 %-ით. ეს სქემა ასე არ მუშაობს, არც ეს ცნობიერება უნდა აღიქმებოდეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრებისკენ გადადგმულ გადამწყვეტ ნაბიჯად.

თუ ადამიანი მის მიერ განხორციელებულ ყველა ქმედებაზე პასუხისმგებელ სუბიექტად მიიჩნევა, მაშინ ის ასევეა პასუხისმგებელი მისი ყოველი სიტყვისა ან საუბრის შედეგად განხორციელებულ ქმედებათა კაუზალური ჯაჭვის ფორმირებაზე; აშკარაა, რომ მაგალითად სიძულვილის ენის აკრძალვის შეფასება ბლოკისა და როთბარდის პერსპექტივიდან განსხვავებულია. ისინი უარყოფენ

სიტყვის თავისუფლების<sup>13</sup> ყოველგვარ აკრძალვას, პოლიტიკურ კორექტულობას კი ყოველთვის პროჰიბიციონისტულობად მიიჩნევენ; მათ საპირისპიროდ, ვან დუნი განასხვავებს ცალკეულ ვითარებებს. მაგალითად, იგი რასისტული წიგნის ავტორს იმ ადამიანისგან ანსხვავებს, რომელიც ხალხით გადაჭედულ „გადახურებულ“ დარბაზში სიძულვილის ენით საუბრობს იმ ხალხის წინაშე, ვინც საპასუხო რეაქციისთვის მუდმივ მზადყოფნაშია.<sup>14</sup>

მეორე მხრივ, ლეგალიზმის სირთულეების (და კოდიფიცირებული სისტემის პარადოქსის) უგულებელყოფის შემთხვევაშიც, სწორხაზოვანი და ჭეშმარიტი დიფერენცირების განხორციელება მაინც შესაძლებელია რთული აღმოჩნდეს, მაგალითად, პირდაპირი ბრძანების გამცემი ადამიანის საქციელსა და იმ ადამიანის საქციელს შორის, რომელიც ბრბოს სწორედ იმიტომ აღიზიანებს, რომ ამ უკანასკნელს დამნაშავესავით მოქცევისკენ უბიძგოს ან წააქეზოს.

ფაქტობრივად, ზუსტად ამგვარი ვითარებების წინაშე ყოფნისას, ჭეშმარიტად ვჭვრეტთ სამართლებრივი სიბრძნის სარგებლიანობას, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ყოველი კონკრეტული ქმედების შემადგენლობის დელიკატური ბუნება. უფრო მეტიც, ორგანიზაციის ან ადამიანთა ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის ამოცნობა ყოველთვის მარტივი არაა: აშკარაა ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციების არსებობა და თუნდაც ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელიც კი არაა, რომ მკაფიოდ განასხვავოთ, გვაქვს თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში სტრუქტურა ან მხოლოდ ადამიანთა უბრალო ჯგუფი და იმპლიციტური ძალმოსილება...

<sup>13</sup> Walter Block, "Reply to 'Against Libertarian Legalism' by Frank van Dun", p. 14.

<sup>14</sup> მაშინ, როდესაც ამ შემთხვევაში ვან დუნის ანალიზი აშკარად კარგად დასაბუთებულია, "blackmailer"-ის (როდესაც იგი აკრიტიკებს ბლოკსა და როთბარდს) შესახებ მისი ანალიზი არაა სარწმუნო და მასზე შესაძლებელია ითქვას, რომ ლიბერტარიანულ პერსპექტივასთან შეუსაბამოა.

კაუზალური მიზეზობრიობის ჯაჭვის ნებისმიერ ტიპზე უარის თქმა უსაფუძვლო იდეაა.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მკვლელი, რომელსაც მსხვერპლი ჰყავს შეპყრობილი, აქვს მისი მოკვლის პირდაპირი განზრახვა და დახმარებას სთხოვს სხვა ინდივიდს მისთვის დანის მიწოდებაში – ამ დანას კი იღებს სხვა ინდივიდისგან. ამ შემთხვევაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეორე ადამიანი პირველი ადამიანის მსგავსადაა დამნაშავე ჩადენილი მკვლელობისთვის. ეს ორი ქმედება კარგად გამოხატული და განსხვავებულია (მკვლელი დანას უყრის მსხვერპლს, მაშინ, როდესაც თანმხლები მას უბრალოდ იარაღით უზრუნველყოფს). თუმცაღა, ამ ორი აქტის მხოლოდ „კონტექსტობრივი“ გააზრებაა მიზანშეწონილი და შესაძლებელი, ხოლო ამგვარ სიტუაციებში სხვაგვარად ძირფესვიანად კანონიერი აქტი – სხვისთვის დანის მიცემა – შესაძლებელია დანაშაულებრივ ხასიათს ატარებდეს და ასეთი თვისებები ჰქონდეს.

ეს იმას არ მოიცავს, რომ უკანონობად უნდა მივიჩნიოთ სხვისთვის იარაღის მიცემის უბრალო აქტი. საპირისპიროდ, საჭიროა შევავასოთ ამ კონკრეტული სიტუაციის სპეციფიკური განზომილება, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, ყველა ფორმალური და აბსტრაქტული გამარტივებისათვის კი ეს უკანასკნელი ცუდის მომასწავლებელია.

როტბარდისეული ლეგალიზმის სირთულეები უფრო ზოგადი პრობლემის სიმპტომაა. სისხლისსამართლებრივი ლიბერტარიანული თეორია უნდა აშენდეს ზოგიერთ კონკრეტულ და აბსტრაქტულ პრინციპზე, რომლის შესახებაც დასკვნის გამოტანა ადამიანის გონებას ძალუძს აგრესიის აკრძალვის აქსიომიდან, მაგრამ ამ თეორიული ჩარჩოს გამყარებისთვის აუცილებელია ისტორიული ევოლუციიდან მომდინარე იურიდიული სიბრძნის მოშველიება. ამგვარი ცოდნა აუცილებელია გროვდებოდეს უამრავი

სხვადასხვა შესაძლო კოფლიქტის ანალიზისგან, რომელიც მუდმივი ძიების შედეგია, სადაც წვლილი შეაქვთ სამართლის სფეროში მოღვაწე ექსპერტებს, მხარეებსა და მოსამართლეებს.

ლეონისეული პერსპექტივა ხაზს უსვამს სამართალში „პრაქტიკის“ ავტონომიურ ღირსებას. ლეონი კატეგორიულად მიუთითებს, რომ არცერთ სამართლის თეორიას შეუძლია უგულებელყოს ამგვარი ექსპერტიზა და დაიკვეხნოს მისი დანერგილი კანონმდებლობით ჩანაცვლების უპირატესობა იმ ილუზიით, რომ ეს უკანასკნელი თავისთავად აშკარაა და თითქოს დამატებით განმარტებას არ საჭიროებს. თუმცა ეს პერსპექტივა არ გულისხმობს, რომ ჩვენ უნდა შევამციროთ აგრესიის აკრძალვის აქსიომის მნიშვნელობა – როგორც ამას ვან დუნი გვიჩვენებს; საპირისპიროდ, ეს პოსტულატი ხელახლა უნდა იქნეს გააზრებული სამართალმცოდნეების სიბრძნის ქრისტიანულ, მის კვალდაკვალ. ჩემი შემოთავაზება ვან დუნის ზოგიერთი მოსაზრების უცილობლად მხედველობაში მიღების იდეაში მდგომარეობს, თუმცა ის იდეა, რომლის მიხედვითაც, არცერთი ვითარება არავის აღჭურავს სხვა უდანაშაულო ადამიანის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელების უფლებამოსილებით, დავინწყებას არ უნდა მიეცეს და არც თაროზე უნდა შემოიდოს.

ვან დუნისათვის აგრესიის აკრძალვის აქსიომა საკმარისი არაა. მისი აზრით, სამართლიანი საზოგადოების არსებობისთვის ინდივიდუალური ურთიერთობები „უნდა ეფუძნებოდეს საკუთრებისა და ინდივიდის ორმხრივ პატივისცემას. ჩემი არგუმენტი ბლოკისა და კინსელას წინააღმდეგ არის ის, რომ ეს პატივისცემა მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე ფიზიკური ინვაზიისგან თავის შეკავება“<sup>15</sup>. მაგრამ ეს ორმხრივი „პატივისცემა“ შესაძლებელია განვიხილოთ აგრესიის აკრძალვის აქსიომისგან წარმოშობილ ფენომენად, რომე-

<sup>15</sup> Frank van Dun, “Natural Law and the Jurisprudence of Freedom”, *The Journal of Libertarian Studies*, vol. 18, n.2, Spring 2004, pp. 47-8.

ლიც უნდა განიმარტებოდეს იურიდიული ისტორიიდან მომდინარე გაკვეთილების საფუძველზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნებითი სამართლის პრინციპების უარყოფის ნაცვლად, ჩვენ მისი ხელახალი დანერგვა და დამუშავება უნდა ვცადოთ.

ერთი მხრივ, როდესაც ვან დუნი მიგვანიშნებს აგრესიის აკრძალვის პრინციპის უარყოფაზე, იგი უახლოვდება ნებისმიერი ლიბერტარიანული ხედვის რღვევას; მეორე მხრივ, ბლოკი ასუსტებს ლიბერტარიანიზმის ბუნებითსამართლებრივ საფუძვლებს როდესაც იგი უგულბელყოფს სამართლისა და ისტორიის კომპლექსურობას, რომელიც ინდივიდუალური პრეტენზიების მიმოცვლით წარმოიშვება, რაც არ შეიძლება არსებობდეს იურისპრუდენციული ლოგიკის გარეშე.

ნებისმიერი სახის აგრესიის უკანონობად გამოცხადების შემდეგ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევეგუოთ, რომ ყოველი კონკრეტული აქტი და მასთან დაკავშირებული პრობლემა არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას, მისი კონტექსტის, კულტურის, კონკრეტული ვითარებისა და განსხვავებული გრძნობების ფრთხილი, საფუძვლიანი და სიღრმისეული გამოკვლევის გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს სამართლის „ადგილობრივი“ განზომილება და ლიბერტარიანულმა თეორიამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ამგვარი გამოცდილებიდან მომდინარე კონკრეტული ტიპის შეთავაზებები და იდეები.

ამ პრობლემათა მნიშვნელობის ნათლად აღქმისთვის, ღირებული იქნებოდა ბავშვის შრომის თემატიკის გამოკვლევა. ამ შემთხვევაში, აშკარაა, რომ მშობლებს ეკისრებათ მათი ფუნქციების განხორციელების ვალდებულება ბავშვის ინტერესების რეალიზაციის მიზნით (მათ შორის, მათთვის კარგი მომავლის შენების ქრილში).

ამავდროულად, კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეფასება საჭიროებს მისი სპეციფიკური კონტექსტიდან გააზრებასა და მის ზედმიწევნით გაანალიზებას. ამდენად, შეგვიძლია უკანონოდ მივიჩნიოთ (თუნდაც ძალადობას გავუთანაბროთ), საშუალო კლასის ევროპელი მშობლის საქციელი, რომელიც საკუთარ 8 წლის შვილს დღეში რვა საათის განმავლობაში მუშაობას აიძულებს. საპირისპიროდ, რთულია, იმავე აზრზე დარჩენა საყოველთაო შიმშილისგან და სიღარიბისგან დატანჯული მესამე მსოფლიოს ქვეყნებში მცხოვრები ოჯახის შემთხვევაში, სადაც ზოგიერთი ან ყველა ბავშვი მუშაობს მინდვრებსა თუ ქარხნებში, რათა საკუთარ მშობლებს მათი ან მათი ნათესავების გამოკვებაში დაეხმარონ.

ამ ვითარებაში და ისევე როგორც ბევრ სხვაში, ჩვენ ვაანალიზებთ – ბრუნო ლეონის გაკვეთილებიდან გამომდინარე – რომ სამართლის იდეის სათანადოდ გააზრებას ვერ მოვახერხებთ, თუ უარყოფთ ნებისმიერი სახის მითითებას სამართლიანობის ობიექტურ (უნივერსალურ) კრიტერიუმებზე. ამავდროულად, საჭიროება თავს იჩენს ისტორიის ნიალში ფესვგადგმული სიბრძნისგან, ასევე, მოსამართლეთა და სამართალმცოდნეთა მოსაზრებებისგან, რომლებიც ერთობლივად ქმნიან ცოდნის ერთიან ცოცხალ ორგანიზმს, რომელსაც სავარაუდოდ შეეძლება ნებისმიერი სპეციფიკური ვითარების ნიუანსებისა და განსაკუთრებული ნიშან-თვისებების გათვალისწინება და შემდგომ მათი გადაჭრა.

# LINKING NATURAL RIGHTS AND EVOLUTIONARY LAW: A LESSON FROM BRUNO LEONI

---

**CARLO LOTTIERI**

**Translated from English by Lasha Lursmanashvili**

Assistant to the Judge of the Administrative Law Chamber  
of the Supreme Court of Georgia

 <https://orcid.org/0000-0003-4937-4022>

## **Abstract**

This paper examines Bruno Leoni's attempt to reconcile a minimal concept of natural law with an evolutionary, common-law-based legal order. Rejecting both rigid legalism and historicist relativism, Leoni argues that individual freedom is best protected by a polycentric, jurisprudence-driven system grounded in universal ethical principles—most notably the golden rule—while remaining adaptable to social experience.

The article contrasts Leoni's approach with that of libertarian theorists such as Rothbard, Block, and Kinsella, and partly aligns with Frank van Dun's critique of strict non-aggression legalism. It argues that a coherent libertarian legal theory must combine general moral axioms with the contextual wisdom of legal practice, taking into account causal complexity, historical evolution, and the practical dimension of adjudication. The study concludes that Leoni offers a "third way": a libertarian legal philosophy rooted in classical natural law, enriched by evolutionary insight, and resistant to both dogmatic codification and relativistic skepticism.

**Keywords:** Natural Rights; Evolutionary Law; Libertarianism; Leoni; Rothbard; Block; Kinsella.